

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

**სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი
სატენდერო კომისიის სხდომის**

ოქმი №1

**06 ოქტომბერი, 2016 წელი
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)**

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

მამუკა წოწერია _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

სატენდერო კომისიის წევრები

თენგიზ შანავა _ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ნანი მიქენაია _ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

რუსლან კილასონია _ ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის
სამსახურის უფროსი;

ლერი დოჩია _ სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

ბესიკ ქარდავა _ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

აქსანა გუჩუა _ იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით _ ხუთი წევრის
დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შამგონის
ადმინისტრაციულ ერთეულში, გოგიებისა და ხასიების უბანში, სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო
სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით გამარტივებული ელექტრონული
ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა.






მოისმინეს: სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის
მ. წოწერიას ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
შამგონის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოგიებისა და ხასიების უბანში, სანიაღვრე არხის
სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით და კომისიას
განსახილველად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების განცხადების
ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია წარუდგინა.

სხდომის მსვლელობა: სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო
დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო
მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო
წინადადების ფორმები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 7909,80 ლარით.



კომისიამ გადაწყვიტა: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის
შესაბამისად დამტკიცდეს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
შამგონის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოგიებისა და ხასიების უბანში, სანიაღვრე არხის
სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია
(ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თან ერთვის).

დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

კომისიის წევრები:

- | | | | | | | |
|----|---|--------------|----------------|----|--|---------------|
| 1. |  | მ. წოწერია | (თავმჯდომარე). | 4. |  | რ. კილასონია. |
| 2. |  | თ. შანავა. | | 5. |  | ლ. დოჩია. |
| 3. |  | ნ. მიქენაია. | | | | |

კომისიის აპარატის წევრები:

- | | | |
|----|---|-------------|
| 1. |  | ბ. ქარდავა. |
| 2. |  | ა. გუჩუა. |